

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის
კომერციული ოპერატორი“

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს „KPMG საქართველო“
ჯი ემ თი პლაზა
მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, საქართველო 0105
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ დირექტორთა საბჭოს

დასკვნა

ჩვენ მოვახდინეთ სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის და შენიშვნებს, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ მაჩვენებლებსა და ფულად ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ები) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის თავში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და საქართველოში არსებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის ეთიკური მოთხოვნების გათვალისწინებით, ჩვენ ვართ „კომპანიისგან“ დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაბამის საფუძველს.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს „მმართველობითი ანგარიშზე“. ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს „მმართველობითი ანგარიშის“ წაკითხვას და, შესაბამისად, იმის განსაზღვრას არის თუ არა „მმართველობითი ანგარიში“ არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნასთან მიმართებაში, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს ის არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობით ანგარიშთან დაკავშირებით. ჩვენ გავეცანით „მმართველობით ანგარიშს“ და ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს მიხედვით ჩვენ გამოგვაქვს დასკვნა, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ და მასთან შესაბამისობაში მყოფ ყველა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს „კომპანიის“ საქმიანობის უწყვეტობის უნარი, საჭიროებისამებრ გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის აღნიშნული პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს „კომპანიის“ ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს ოპერაციები, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული ქმედებებისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობებს ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;

- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით განუსაზღვრელობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვის ქვეშ დააყენოს „კომპანიის“ საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენ მიერ აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს „კომპანია“, შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი შედეგების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში შიდა კონტროლის მექანიზმებში აღმოჩენილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული „დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა“ გაიცა, არის:

კარენ საფარიანი

შპს „KPMG Georgia“

თბილისი, საქართველო

25 სექტემბერი 2020 წელი

*სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*

ლარი	შენიშვნები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018*
აქტივები			
აქტივი გამოყენების უფლებით	3	954,309	-
ძირითადი საშუალებები	11	393,729	463,345
არამატერიალური აქტივები		128,195	159,798
სხვა ინვესტიციები	19	306,219	4,157
გრძელვადიანი აქტივები		1,782,452	627,300
მარაგები		2,472	438
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	70,080,093	73,481,201
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	3,963,095	12,828,155
მიმდინარე აქტივები		74,045,660	86,309,794
სულ აქტივები		75,828,112	86,937,094
კაპიტალი	14		
სააქციო კაპიტალი		87,309	87,309
მესაკუთრის არაფულადი შენატანების რეზერვი		(15,660)	(15,660)
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		249,421	250,150
გაუნაწილებელი მოგება		12,994,028	13,450,570
სულ კაპიტალი		13,315,098	13,772,369
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	60,543,486	73,096,789
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		1,068,070	67,936
საიჯარო ვალდებულებები	3	901,458	-
მიმდინარე ვალდებულებები		62,513,014	73,164,725
სულ ვალდებულებები		62,513,014	73,164,725
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		75,828,112	86,937,094

*კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვარს გამოიყენა, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. ამ მიდგომის ფარგლებში, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული. იხილეთ შენიშვნა 3.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10 - 42 გვერდებზე.

სს “ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი”
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლისათვის

ლარი	შენიშვნა	2019	2018*
შემოსავალი	6	568,206,358	521,195,299
რეალიზებული საქონლის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	6	(562,755,559)	(514,359,858)
სრული მოგება		5,450,799	6,835,441
სხვა შემოსავალი		759,258	638,990
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(4,202,484)	(4,188,700)
უიმედო ვალის ხარჯის აღდგენა, ნეტო	9	1,901,301	-
გაუფასურების ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე	9	(4,192,439)	(5,062,542)
შედეგები საოპერაციო საქმიანობიდან		(283,565)	(1,776,811)
ფინანსური შემოსავალი	7	1,173,565	2,081,413
ფინანსური ხარჯები	7	(306,964)	(142,207)
წმინდა ფინანსური შემოსავალი		866,601	1,939,206
მოგება დაბეგვრამდე		583,036	162,395
მოგების გადასახადის ხარჯი	10	(39,578)	(112,741)
მოგება წლის განმავლობაში		543,458	49,654
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)			
<i>ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება რეკლასიფიცირებული მოგებაში ან ზარალში</i>			
ძირითადი საშუალებების გადაფასება	11	(729)	48,823
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)		(729)	48,823
სულ მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		542,729	98,477

*კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვარს გამოიყენა, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. ამ მიდგომის ფარგლებში, შესადარის ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული. იხილეთ შენიშვნა 3.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს და მისი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

ზაზა დვალიშვილი
გენერალური დირექტორი

ხათუნა ჩადუნელი
ფინანსური დეპარტამენტის
უფროსი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10 - 42 გვერდებზე.

*სს “ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი”
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლისათვის*

ლარი	სააქციო კაპიტალი	მესაკუთრის არაფულადი შენატანის რეზერვი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	87,309	(15,660)	201,327	16,635,516	16,908,492
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში					
მოგება წლის განმავლობაში	-	-	-	49,654	49,654
სხვა სრული შემოსავალი					
ძირითადი საშუალებების გადაფასება (შენიშვნა 11)	-	-	48,823	-	48,823
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-	48,823	49,654	98,477
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრებთან					
დივიდენდები (შენიშვნა 14(b))	-	-	-	(3,234,600)	(3,234,600)
სულ პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრებთან	-	-	-	(3,234,600)	(3,234,600)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	87,309	(15,660)	250,150	13,450,570	13,772,369
 ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს*	 87,309	 (15,660)	 250,150	 13,450,570	 13,772,369
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში					
მოგება წლის განმავლობაში	-	-	-	543,458	543,458
სხვა სრული შემოსავალი					
ძირითადი საშუალებების გადაფასება (შენიშვნა 11)	-	-	(729)	-	(729)
სულ სრული შემოსავალი/(ზარალი) წლის განმავლობაში	-	-	(729)	543,458	542,729
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრებთან					
დივიდენდები (შენიშვნა 14(b))	-	-	-	(1,000,000)	(1,000,000)
სულ პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრებთან	-	-	-	(1,000,000)	(1,000,000)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	87,309	(15,660)	249,421	12,994,028	13,315,098

*კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვარს გამოიყენა, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. ამ მიდგომის ფარგლებში, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული. იხილეთ შენიშვნა 3.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10 - 42 გვერდებზე.

*სს “ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი”
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლისათვის*

ლარი	შენიშვნები	2019	2018*
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება წლის განმავლობაში		543,458	49,654
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	11	938,994	135,466
გაუფასურების ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე, წმინდა	9	2,291,138	5,062,542
წმინდა ფინანსური შემოსავალი	7	(866,601)	(1,939,206)
მოგების გადასახადის ხარჯი		39,578	112,741
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის და ანარიცხების ცვლილებამდე		2,946,567	3,421,197
ცვლილება მარაგებში		(2,034)	945
ცვლილება სხვა გრძელვადიან აქტივებში		-	(560)
ცვლილება მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებში		1,284,480	3,597,275
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		2,159,874	(43,013,012)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში და საიჯარო ვალდებულებებში		(13,603,207)	33,858,530
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე		(7,214,320)	(2,135,625)
გადახდილი მოგების გადასახადი		(323,924)	-
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(7,538,244)	(2,135,625)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი		1,173,565	2,081,413
სხვა ინვესტიციების შესყიდვა		(302,063)	-
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(55,007)	(303,307)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(22,539)	(97,362)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		793,956	1,680,744
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან			
გადახდილი დივიდენდები		(1,000,000)	(3,000)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(1,000,000)	-
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(2,000,000)	(3,000)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა შემცირება		(8,744,287)	(457,881)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		12,828,155	13,414,057
ვალუტის კურსის ცვალებადობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(120,733)	(128,021)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	13	3,963,095	12,828,155

*კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვარს გამოიყენა, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. ამ მიდგომის ფარგლებში, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული. იხილეთ შენიშვნა 3.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10 - 42 გვერდებზე.

შენიშვნა	გვერდი	შენიშვნა	გვერდი
1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო	11	10. მოგების გადასახადი	31
2. მომზადების საფუძველი	12	11. ძირითადი საშუალებები	32
3. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში	13	12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	33
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	15	13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	33
5. ახალი სტანდარტები და ახსნა-განმარტებები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	27	14. კაპიტალი და რეზერვები	33
6. შემოსავალი და გაყიდვების თვითღირებულება	27	15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	34
7. წმინდა ფინანსური შემოსავალი	29	16. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა	34
8. ადმინისტრაციული ხარჯები	30	17. პირობითი ვალდებულებები	39
9. გაუფასურების ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე/(უიმედო ვალის ხარჯის აღდგენა, წმინდა)	30	18. დაკავშირებული მხარეები	39
		19. სხვა ინვესტიციები	40
		20. შემდგომი მოვლენები	41

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(a) ორგანიზაცია და ოპერაციები

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა საქართველოში 2006 წლის 1 სექტემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. 2011 წლის 18 აგვისტოს შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ სააქციო საზოგადოებად გარდაიქმნა, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 10 აგვისტოს #142 ბრძანების საფუძველზე. „კომპანიის“ რეგისტრაციის ნომერია: 205170036.

„კომპანიის“ იურიდიული მისამართია: ბარათაშვილის ქუჩა №2, თბილისი, საქართველო.

„კომპანიის“ ძირითადი საქმიანობა მოიცავს საბალანსო ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვას, ელექტროენერგიის იმპორტ-ექსპორტს და საქართველოში ელექტროენერგიის შესყიდვა-რეალიზაციის პროცესების ხელშეწყობას.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2010 წლის სექტემბრიდან ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობას, უსაფრთხო და საიმედო ფუნქციონირებას ემსახურება გარანტირებული სიმძლავრე. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს წარმოადგენს თბოელექტროსადგურები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით განსაზღვრულ ტექნიკურ პარამეტრებს. თერმული გარანტირებული სიმძლავრის მინიმალური რაოდენობა თითოეული წყაროსთვის და პერიოდისთვის განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ. „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესები“-ს მიხედვით, გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა ხორციელდება მხოლოდ „კომპანიის“ მიერ. 2014 წლის 31 აგვისტომდე ზემოთხსენებულ ოპერაციებში „კომპანია“ მოქმედებდა როგორც აგენტი და არა როგორც პირდაპირი გამყიდველი (პრინციპალი). მას შემდეგ, რაც 2014 წლის 1 სექტემბერს კანონმდებლობაში ცვლილებები შევიდა, „კომპანია“ მოქმედებს გარანტირებული სიმძლავრის ოპერაციებში როგორც პირდაპირი გამყიდველი.

„კომპანიის“ ძირითადი საქმიანობები განსაზღვრულია „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“.

1999 წლის 30 აპრილით დათარიღებული საქართველოს კანონი "ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" ძალადაკარგულად გამოცხადდა 2019 წლის 20 დეკემბერს, როდესაც ძალაში შევიდა ახალი კანონი "საქართველოს ეროვნული ენერგომომარაგება და წყალმომარაგება". ახალი კანონი განსაზღვრავს მომავალი ბაზრების ზოგად ჩარჩოს და იძლევა მითითებებს გარდამავალი პერიოდისთვის (შენიშვნა 20).

„კომპანიის“ დამფუძნებელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა. „კომპანიის“ 100%-იანი წილის მფლობელია სს „საპარტნიორო ფონდი“, რომელიც მთლიანად სახელმწიფო მფლობელობაშია (შენიშვნა 20).

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები განხილულია მე-18 შენიშვნაში.

(b) საქართველოს ბიზნეს გარემო

„კომპანიის“ საქმიანობა ძირითადად ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, „კომპანია“ დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზრები ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ

დაბრკოლებებთან ერთად, სირთულეებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას „კომპანიის“ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი

(a) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) სრულ შესაბამისობაში.

ეს არის კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგების ნაკრები სადაც გამოყენებულია ფასს 16 „იჯარები“. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში აღწერილია 5 შენიშვნაში.

(b) სამუშაო და წარმოდგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც „კომპანიის“ სამუშაო ვალუტას წარმოადგენს. შესაბამისად, მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს სავალუტო ერთეულამდე.

(c) შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-თან შესაბამისობაში, რაც ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაზე და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელშიც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომელიც გამოიყენება სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას და რომელთაც აქვთ ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 6 – მოქმედებს როგორც აგენტი მთავრობის დადგენილება N923-ით რეგულირებულ გარიგებებში;
- შენიშვნა 6 – მოქმედებს როგორც პრინციპალი აფხაზეთთან დადებულ გარიგებებში;
- შენიშვნა 16(b)(ii) – რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებისთვის; და
- შენიშვნა 20 - წინა პერიოდების ზარალების კორექტირება როგორც არამაკორექტირებელი მოვლენა.

ინფორმაცია იმ ვარაუდებისა და შეფასებებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილებების მნიშვნელოვანი რისკის წინაშე დგანან, განხილულია შემდეგ შენიშვნებში: შენიშვნა 16(b)(ii) - სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის შეფასება.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით:

- დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის.
- დონე 2: მონაცემები გარდა პირველ დონეში შემავალი მონაცემებისა, რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული).
- დონე 3: მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეყრდნობა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლოა სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

დამატებითი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ მოცემულია მე-16 შენიშვნაში - სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა.

3. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში

გარდა ქვემოთ აღწერილი ცვლილებებისა, კომპანია თანმიმდევრულად იყენებდა სააღრიცხვო პოლიტიკებს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

ფასს 16

კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16, 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენა. ფასს 16-ს შემოაქვს ერთიანი, საბალანსო აღრიცხვის მოდელი მოიჯარეებისთვის. შედეგად, კომპანია, როგორც მოიჯარე, აღიარებს აქტივებს გამოყენების უფლებით რაც ასახავს მის უფლებას გამოიყენოს აღნიშნული აქტივები და საიჯარო ვალდებულებებს რაც ასახავს მის ვალდებულებას განახორციელოს საიჯარო გადახდები.

კომპანიამ გამოიყენა ფასს 16 მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით და აქტივი გამოყენების უფლებით შეაფასა საიჯარო ვალდებულების ტოლი ოდენობით (კორექტირებული ავანსებით და დარიცხვებით). შესაბამისად, 2018 წლისთვის წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაცია არ ყოფილა გადაანგარიშებული - ანუ წარმოდგენილია ადრე აღრიცხულის შესაბამისად, ბასს 17-ის და დაკავშირებული ინტერპრეტაციების ფარგლებში. სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებების დეტალები განმარტებულია ქვემოთ. ამასთანავე, ფასს 16-ის ახსნა-განმარტებითი მოთხოვნები ზოგადად არ ყოფილა გამოყენებული შესადარისი ინფორმაციაზე.

იჯარის განმარტება

ადრე, კომპანია ხელშეკრულების დადებისას განსაზღვრავდა იყო თუ არა ან შეიცავდა თუ არა გარიგება იჯარას ბასს 17 *იჯარების* და ფასიკ 4 *როგორ განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა გარიგება იჯარას* - ფარგლებში. კომპანია ამჟამად აფასებს არის თუ არა ან შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას იჯარის ახალი განმარტების მიხედვით. ფასს 16-ის ფარგლებში, ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას, თუ იჯარა გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, კონკრეტული დროის პერიოდით, კონკრეტული ანაზღაურების სანაცვლოდ.

ფასს 16-ზე გადასვლისას, კომპანიამ გარიგებების იჯარებად კლასიფიკაციისთვის პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება აირჩია. კომპანიამ ფასს 16 მხოლოდ ადრე იჯარებად კლასიფიცირებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში გამოიყენა. ხელშეკრულებები რომლებიც არ იყო კლასიფიცირებული იჯარებად ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში არ ყოფილა გადაფასებული იჯარის არსებობაზე ფასს 16-ის ფარგლებში. მაშასადამე, იჯარის განმარტება ფასს 16-ის ფარგლებში გამოყენებულ იქნა მხოლოდ 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დადებულ ან შეცვლილ ხელშეკრულებებზე.

როგორც მოიჯარე

ჯგუფის საიჯარო ხელშეკრულებები საოფისე ფართის იჯარებს უკავშირდება.

როგორც მოიჯარე, კომპანია ადრე იჯარებს საოპერაციო იჯარების სახით აკლასიფიცირებდა მისი შეფასების მიხედვით გადასცემდა თუ არა იჯარა მფლობელობის არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. ფასს 16-ის ფარგლებში, კომპანია, იჯარების უმეტესობისთვის აღიარებს აქტივებს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებებს - ანუ აღნიშნული იჯარები არის საბალანსო. კომპანია აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს ხარჯების სახით აღიარებს, წრფივი მეთოდით იჯარის ვადის მანძილზე.

აქტივები გამოყენების უფლებით და დაკავშირებული საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალკე ერთეულის სახით.

იჯარების დაფარვის ვადის ანალიზი წარმოდგენილია 16(b)(iv) შენიშვნაში.

აქტივების გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები 2019 წლის 1 იანვრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არის შემდეგი:

’000 ლარი	ოფისის იჯარა	სულ
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვარს	1,715,056	1,715,056
მთლიანი საბალანსო ღირებულება		
2019 წლის 31 დეკემბერს	1,715,056	1,715,056
ცვეთის დარიცხვა 2019 წელს და დაგროვილი		
ცვეთა 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	(760,747)	(760,747)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
2019 წლის 31 დეკემბერს	954,309	954,309
საიჯარო ვალდებულება		
2019 წლის 1 იანვრისთვის	(1,715,056)	(1,715,056)
პროცენტის დარიცხვა	(186,402)	(186,402)
საიჯარო ვალდებულების გადახდა	1,000,000	1,000,000
საიჯარო ვალდებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	(901,458)	(901,458)

კომპანია აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივი გამოყენების უფლებით თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, და კორექტირებულია საიჯარო ვალდებულებების კონკრეტული გადაფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად მომავალი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით ფასდება (გადასვლის თარიღისთვის), დისკონტირებული იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ან თუ აღნიშნული განაკვეთის დროულად განსაზღვრა ვერ ხერხდება, კომპანიის მზარდი სასესხო განაკვეთით. ზოგადად, კომპანია დისკონტირების განაკვეთად მის მზარდ სასესხო განაკვეთს იყენებს.

საიჯარო ვალდებულება შემდგომ იზრდება საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. ის გადაფასდება მაშინ როდესაც მომავალი საიჯარო გადახდების ცვლილებას ქენება ადგილი, რომელიც გამოწვეულია ინდექსის ან განაკვეთის ცვლილებით, ნარჩენი ღირებულების გარანტიის ფარგლებში გადასახდელი ოდენობის შეფასებაში ცვლილებით, ან შესაბამისობის შემთხვევაში, ცვლილებით შეფასებაში იმისა იყო თუ არა შესყიდვის ან გახანგრძლივების შესაძლებლობის გამოყენება გონივრულად მოსალოდნელი ან შეწყვეტის შესაძლებლობის გამოყენება გონივრულად არ იყო მოსალოდნელი.

საიჯარო ვადა ასახავს კომპანიის გონივრულ შეფასებას პერიოდისა რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის დადგენისას კომპანია მის განსჯას ხელშეკრულების ფართო ეკონომიკაზე და შესაბამის აქტივზე ამყარებს, და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე და საშუალებას იძლევა ფაქტორებს როგორებიცაა, ეკონომიკური ჯარიმები, იურიდიული მიდგომა იჯარის განახლებასთან და კომპანიის მომავალი ბიზნეს გეგმები ეფექტურად იყოს ასახული იჯარის ვადის შეფასებაში.

(i) გადასვლა

ადრე, კომპანია იჯარებს, ბასს 17-ის ფარგლებში, საოპერაციო იჯარებად აკლასიფიცირებდა. კომპანია, მოკლევადიანი იჯარებისთვის იყენებს აღნიშნული მიდგომის გამოყენების გაგრძელების შესაძლებლობას და აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას ფასს 16-ის მიხედვით გრძელვადიანი ხელშეკრულებების შემთხვევაში (ხელშეკრულებით ან არსით). რადგან ხელმძღვანელობა ეფექტური საიჯარო ვადების დადგენისას იყენებს განსჯას, ფასს 16-ის მიზნებისთვის გამოყენებული საიჯარო ვადები შეიძლება განსხვავდებოდეს სახელშეკრულებო მინიმალური საიჯარო პერიოდებისგან. გადასვლისას, ხელმძღვანელობამ გამოიყენა სახელშეკრულებო ვადები, რომელთაც მაქსიმალური 1.5-წლიანი საიჯარო პერიოდი აქვთ.

ფასს 16-ზე გადასვლისას როგორც საიჯარო ვალდებულებები ასევე დაკავშირებული აქტივები გამოყენების უფლებით შეფასდა ნარჩენი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, დისკონტირებული კომპანიის მზარდი სასესხო განაკვეთით 2019 წლის 1 იანვარს.

(ii) გავლენა გადასვლისას

საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებული იჯარებისთვის საიჯარო ვალდებულებების შეფასებისას, კომპანიამ მოახდინა საიჯარო გადახდების დისკონტირება მისი მზარდი სასესხო განაკვეთის გამოყენებით 2019 წლის 1 იანვრისთვის. გამოყენებული საშუალო შეწონილი განაკვეთი არის 11%.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ მოყვანილი სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენება მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში და თანმიმდევრულად გამოიყენება კომპანიის მიერ.

(a) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები კონვერტირებულია „კომპანიის“ სამუშაო ვალუტაში ოპერაციის თარიღისთვის არსებული კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება „კომპანიის“ სამუშაო ვალუტაში ხდება ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით მიღებული მოგება ან ზარალი ფულად მუხლებზე, წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული მოქმედი

ვალუტის ამორტიზირებული ღირებულებისა და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებული ღირებულების სხვაობას.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება, გადაყვანილია სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ისტორიული ღირებულებით ფასდება გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების თარიღისათვის არსებული შესაბამისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში.

(b) ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 აწესებს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების, და ზოგიერთი არა-ფინანსური აქტივების შესყიდვა/გაყიდვის ხელშეკრულებების, აღიარების და შეფასების მოთხოვნებს. ეს სტანდარტი ანაცვლებს ბასს 39-ს *ფინანსური ინსტრუმენტები აღიარება და შეფასება*.

(i) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და აღრიცხვა

ფასს 9 ძირითადად იწარჩუნებს ბასს 39-ში არსებულ მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და აღრიცხვასთან მიმართებაში. თუმცა, ფასს 9 აუქმებს ბასს 39-ის დროს გამოყენებულ კატეგორიებს როგორებიცაა ხანდაზმულობის ვადის მიხედვით, სესხები და მოთხოვნები და გასაყიდად ხელმისაწვდომი.

ფასს 9-ის მიხედვით, თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსურ აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც აღიარდება: ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ვალის ინვესტიცია; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - კაპიტალის ინვესტიცია; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფასს 9-ის ფარგლებში, ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია, ზოგადად იმ ბიზნეს მოდელზეა დამოკიდებული, რომლის ფარგლებშიც ფინანსური აქტივი იმართება და მის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს შემდგომ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ფასს 9-ის გამოყენების გავლენა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაზე 2018 წლის 1 იანვარს, მხოლოდ ახალი გაუფასურების მოთხოვნებს უკავშირდება, როგორც აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება - ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის არის სავაჭროდ გამიზნული, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად პირველადი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა ამონაგებით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად მიღებული ამონაგები ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი მოგება ან ზარალი აღიარების შეწყვეტისას ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ცვლილება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები იცვლება, კომპანიამ უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა შეცვლილი აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი ცვლილება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივი ჩამოიწერება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

კომპანია ახორციელებს მოცემული ცვლილების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუარა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები შეცვლილი ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. კომპანია აფასებს არსებითია თუარა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს კომპანია ფინანსური ვალდებულებების ჩამოწერის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

კომპანია ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა სასესხო უზრუნველყოფაში;

თუ შეცვლილი აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, აღრიცხული ამორტიზირებული ღირებულებით, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ ცვლილების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, კომპანია ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც მოგების ან ზარალის კორექტირებას მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც შეცვლილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს შეცვლილ ფინანსურ აქტივს და არის ამორტიზირებული შეცვლილი ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულების აღიარებას როდესაც იცვლება მისი პირობები და არსებითად განსხვავდება შეცვლილი ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი შეცვლილ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა ჩამოწერილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ შეცვლილ პირობებთან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ ცვლილება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას კომპანია იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც ცვლილება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას კომპანია აღიარებს ესეთი ცვლილებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, ცვლილების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა კორექტირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, კომპანია ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

კომპანია აფასებს არსებითა თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. კომპანია ასკვნის, რომ ცვლილება არსებითაა შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ფინანსური ვალდებულების კურსის ცვლილება;
- ცვლილება გირაოში ან სხვა სასესხო უზრუნველყოფაში;
- კონვერტაციის შესაძლებლობის დამატება;
- ცვლილება ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციაში.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების ცვლილება მიჩნეულია ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აღიარებულია ვალის განულებიდან მიღებულ მოგებასა ან ზარალში. თუ გაცვლა ან ცვლილება არ არის მიჩნეული ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია შეცვლილი ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

კომპანია დებს გარიგებებს რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკსა და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები შესრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც კორექტირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი არაფულატი აქტივების გადაცემის და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(i) ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9 ანაცვლებს ბასს 39-ის „გაწეული ზარალის“ მოდელს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ (მსზ) მოდელით. ახალი გაუფასურების მოდელი ვრცელდება ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, სახელშეკრულებო აქტივებზე. ფასს 9-ის მიხედვით, საკრედიტო ზარალი აღიარდება უფრო ადრე ვიდრე ბასს 39-ის გამოყენებისას.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები შედგება სავაჭრო მოთხოვნებისგან და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან.

ფასს 9-ის მიხედვით, ზარალის რეზერვები ფასდება შემდეგი მეთოდებიდან ერთ-ერთით:

- *12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი:* მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან; და
- *არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი:* მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევების გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 25 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ როდესაც:

- არ არის სავარაუდო რომ მომხმარებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია, მოთხოვნის ტიპის მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობაზე დაფუძნებული სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი ფასდება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა ორგანიზაციიდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების წარდგენა

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე აღიარებული ზარალის რეზერვები აკლდება აქტივების მთლიან საბალანსო ღირებულებას.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია როდესაც კომპანიას აღარ აქვს ფინანსური აქტივის მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული იმედი. კომპანია ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა რომ მოხერხდება თანხის ამოღება. კომპანია აღარ ელის მნიშვნელოვანი ოდენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას კომპანიის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

(c) გაუფასურება

(i) არწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი რომელიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის იმის განსასაზღვრად, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად ითვლება, თუ ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ მოხდა მისი გაუფასურება, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია აქტივიდან მისაღებ სავარაუდო მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელთა საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ფინანსური აქტივის (წილობრივი ფასიანი ქაღალდების ჩათვლით) გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შესაძლოა მოიცავდეს მევალის მხრიდან ვადაგადაცელებას ან საერთოდ უარის თქმას ვალის დაფარვაზე, კომპანიის მხრიდან ვადადამდგარი მოთხოვნების რესტრუქტურისაციას ისეთი პირობით, რომელსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავს, ნიშნები იმისა, რომ მევალე ან ემიტენტი გაკოტრდება, მევალის ან ემიტენტის გადამხდელის სტატუსის უარყოფითი ცვლილებები კომპანიაში, ეკონომიკური პირობები რომელიც დეფოლტს უკავშირდება ან უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა. ასევე, წილობრივ ფასიან ქაღალდებში ინვესტიციის შემთხვევაში, მისი სამართლიანი ღირებულების თვითღირებულებაზე დაბლა არსებითი ან განგრძობითი კლება წარმოადგენს გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას.

სესხები და მოთხოვნები

კომპანია განიხილავს სესხების და მოთხოვნების გაუფასურების მტკიცებულებას როგორც თითოეული აქტივის დონეზე ასევე კოლექტიურად. ყველა ინდივიდუალურად არსებითი სესხები და მოთხოვნები ფასდება კონკრეტულ გაუფასურებაზე. ყველა ინდივიდუალურად არსებითი სესხები და მოთხოვნები რომლებიც არ არის მიჩნეული გაუფასურებულად შემდგომ ჯგუფურად ფასდება გაუფასურებაზე, რომელიც გაწეულია მაგრამ ჯერ არ არის იდენტიფიცირებული.

(ii) არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების გარდა) გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება. არამატერიალური აქტივებისთვის განუსაზღვრელი მოხმარების ვადით ან რომლებიც ჯერ არ არის მოხმარებისთვის ხელმისაწვდომი, აღდგენადი ღირებულება ფასდება ყოველწლიურად ერთიდაიგივე დროს. გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მის სავარაუდო აღდგენად ღირებულებას აღემატება.

აქტივის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების შემოძინებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც ძირითადად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოძინებებისგან.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შემცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალი აღდგენილია თუ აღდგენადი ღირებულების დასადგენად გამოყენებულ შეფასებებშია ცვლილება. გაუფასურების ზარალი აღდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა განსაზღვრული (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით) გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(d) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

თავდაპირველად ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თვითღირებულებით. შემდგომ ძირითადი საშუალებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით, გარე დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ განხორციელებულ პერიოდულ შეფასებაზე დაყრდნობით, გამოკლებული შემდგომი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

აქტივის თვითღირებულება მოიცავს მის შემენასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს. როდესაც ძირითადი საშუალების ცალკეულ მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც აღნიშნული აქტივის შემადგენელი კომპონენტები (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და წმინდა ოდენობა აისახება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები. გადაფასებული აქტივების გაყიდვის შემთხვევაში, ნებისმიერი დაკავშირებული თანხა, რომელიც გათვალისწინებულია გადაფასების რეზერვში, როგორც გადაფასების ზედმეტობა, გადადის გაუნაწილებელ მოგებაში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ნაწილის შეცვლის ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდოა რომ იგი უზრუნველყოფს კომპონენტში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოდიდებას „კომპანიაში“ და მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება არის შესაძლებელი. გამოცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) გადაფასება

გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალებების ღირებულების ზრდა აისახება პირდაპირ გადაფასების რეზერვში, კაპიტალში, გარდა შემთხვევისა, როდესაც ის აკომპენსირებს წინა პერიოდის გადაფასების ზარალს აღიარებულს მოგებაში ან ზარალში. ამ შემთხვევაში ის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალებების ღირებულების შემცირება აისახება მოგებაში ან ზარალში, გარდა შემთხვევისა, როდესაც ის აკომპენსირებს წინა პერიოდის გადაფასების ზრდას, აღიარებულს პირდაპირ სხვა სრულ შემოსავალში. ამ შემთხვევაში აღდგენის ოდენობა აღიარდება პირდაპირ სხვა სრულ შემოსავალში.

(iv) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზა მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან „კომპანიის“ შიდა ძალებით დამზადებულ აქტივთან მიმართებაში, მათი დასრულების და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის თარიღიდან. ცვეთა ეფუძნება აქტივის ღირებულებას, მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთა აისახება მოგებაში ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესადარისი პერიოდებში შემდეგია:

- | | |
|---------------------------------------|-----------|
| • სატრანსპორტო საშუალებები | 5 წელი; |
| • უძრავი ინვენტარი და მოწყობილობები | 4-5 წელი; |
| • კომპიუტერი და ტექნიკური აღჭურვილობა | 4-5 წელი. |

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადების და ნარჩენი ღირებულებების გადახედვა და, საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

(e) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. მზარდი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ჩვეულებრივი აქციების გამოშვებას აღიარებულია როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან.

(f) თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი

თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებლის ვალდებულებები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და აღიარდება ხარჯად შესაბამისი მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის სახით და იმ შემთხვევაში, თუ „კომპანიას“ აქვს მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, გადაიხადოს მომსახურე პერსონალის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების საფასური და ეს ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული.

(g) შემოსავალი

(i) ელექტროენერგიის რეალიზაცია

შემოსავლები ელექტროენერგიის რეალიზაციიდან, ელექტროენერგიის ექსპორტის ჩათვლით, ჩვეულებრივი საქმიანობისას, განისაზღვრება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. კომპანია არ ახორციელებს უკანდაბრუნებებს, სავაჭრო და რაოდენობრივ ფასდათმობებს. შემოსავლები აღიარდება მაშინ, როდესაც არსებობს გონივრული მტკიცებულება, როგორც წესი გაფორმებული სავაჭრო ხელშეკრულების სახით, რომლის მიხედვითაც მომხმარებელს გადაეცემა ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და ანაზღაურება, სავარაუდოა ანაზღაურების ამოღება, დაკავშირებული ხარჯების და ელექტროენერგიის შესაძლო უკანდაბრუნებების საიმედოდ შეფასება არის შესაძლებელი, რეალიზებულ ელექტროენერგიასთან მიმართებაში ხელმძღვანელობის სამომავლო ჩართულობა აღარ არის საჭირო და შემოსავლების ოდენობის საიმედოდ შეფასება არის შესაძლებელი. თუ მოსალოდნელია ფასდათმობა, რომლის ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა არის შესაძლებელი, მაშინ ასეთი ფასდათმობა აღიარებულ უნდა იქნას შემოსავლის შემცირების სახით გაყიდვების აღიარების დროს.

საბალანსო ელექტროენერგიის რეალიზაციისას, რისკებისა და სარგებლის გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც ელექტროენერგია მიეწოდება ელექტროსისტემის იმ წერტილს, საიდანაც ნაწილდება მომხმარებელზე ელექტროსადენების მეშვეობით და ელექტროენერგია ითვლება მიღებულად მომხმარებლის მიერ.

2014 წლის სექტემბრიდან, კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად, კომპანია მოქმედებს გარანტირებული სიმძლავრის შეძენისა და რეალიზაციის ოპერაციაში, როგორც პრინციპალი და შესაბამისად, აღიარებს შემოსავლებსა და შესაბამის, რეალიზებული საქონლის თვითღირებულებას. კომპანია არ არიცხავს საკომისიოს გარანტირებული სიმძლავრის შესყიდვასა და რეალიზაციაზე. 2014 წლის 1 სექტემბრამდე, გარანტირებული სიმძლავრის შესყიდვისა და რეალიზაციის ოპერაციებში კომპანია მოქმედებდა როგორც აგენტი და არა როგორც პრინციპალი.

(ii) მომსახურება

შემოსავლის აღიარება ხდება „კომპანიის“ მიერ შესაბამისი კანონმდებლობებისა და რეგულაციების ფარგლებში გაწეული მომსახურებების მიხედვით, როდესაც შემოსავლის თანხა შესაძლოა საიმედოდ შეფასდეს და სავარაუდოა, რომ ოპერაციებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი „კომპანიაში“ შემოედინება.

(iii) ნაკისრი ვალდებულებები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების და ხასიათის შესახებ, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების და დაკავშირებული შემოსავლის აღიარების პოლიტიკების ჩათვლით.

საქონლის/მომსახურების სახეობა	ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ხასიათი და ვადები, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების ჩათვლით	შემოსავლის აღიარება ფასს 15-ის ფარგლებში
ელექტროენერგიის გაყიდვა (ადგილობრივ და უცხოურ ბაზრებზე), მოიცავს შემდეგის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს:	კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე განხორციელებული გაყიდვების შედეგად, როგორც ადგილობრივ ასევე უცხოურ ბაზრებზე, კლიენტები მოიპოვებენ კონტროლს ელექტროენერგიაზე მისი შესყიდვის დროს.	შემოსავლის აღიარება ხდება გარკვეული დროის განმავლობაში მომსახურების გაწვასთან ერთად, გადაცემული ელექტროენერგიის მოცულობის მიხედვით.
- საბალანსო ელექტროენერგია; - გარანტირებული სიმძლავრე; - ელექტროენერგიის იმპორტი და ექსპორტი.	კომპანიის მიერ ტარიფის დათვლა ხდება ყოველთვიურად, აღნიშნული პერიოდისთვის შესყიდული ელექტროენერგიის ფაქტობრივი ფასების მიხედვით. გაყიდვებთან დაკავშირებით ფასდაკლებები არ არსებობს.	
კლიენტებისთვის მომსახურების გაწევა (ადგილობრივი და უცხოური) მოიცავს ფიქსირებული ტარიფით მომსახურების გაწევიდან მიღებულ შემოსავალს.	კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე გაყიდვების განხორციელებისას, კომპანია იღებდა ფიქსირებულ ტარიფს (შენიშვნა 6) მომსახურების გაწევისთვის. ტარიფის დარიცხვა ხდება ელექტროენერგიის შესყიდვის მომენტში.	შემოსავლის აღიარება ხდება დროის გარკვეულ მომენტში, კერძოდ - გაყიდვის დროს.
	გაყიდვებთან დაკავშირებით ფასდაკლებები არ არსებობს.	

(h) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. სასესხო ხარჯები რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება კვალიფიციური აქტივის შეძენას, შექმნას ან წარმოებას აღიარდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან/და ზარალი აღირიცხება ნეტო საფუძველზე როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა მოგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

საბალანსო ელექტროენერგიის ფასები დგინდება საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბრძანების - „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესები“ მიხედვით. კვალიფიციური საწარმოებისთვის გასაყიდი საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირებისას, იგივე ბაზრის წესების მიხედვით, კომპანია ითვალისწინებს საკურსო სხვაობით გამოწვეულ ცვლილებებს და ახდენს საბალანსო ელექტროენერგიის ფასის შესაბამის კორექტირებას.

(i) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადებს. მიმდინარე გადასახადები აღიარდება მოგება ან ზარალის უწყისში გარდა იმ ნაწილისა, რომელიც მიეკუთვნება ბიზნეს შერწყმას ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლის საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი დაზუსტება. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია 2016 წლიდან და მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ დასაბეგრ ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან მოგების განაწილების მიმდებარე მოგების გადასახადის მიზნებისთვის. დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება პირის ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებას და ზღვარს გადაცილებულ წარმომადგენლობით ხარჯებს.

გადასახადის ჩათვლა შესაძლებელია 2008-2016 წლებში გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილი მიმდინარე გადასახადისთვის, თუ ეს მოგება განაწილებულია 2018 ან მომდევნო წლებში.

დივიდენდების გადახდით წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები.

(j) იჯარები

კომპანიამ ფასს 16-ი მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით გამოიყენა და მაშასადამე შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული. კომპანიას განმარტებული აქვს სააღრიცხვო პოლიტიკები როგორც ფასს 16-ის (მიმდინარე პერიოდისთვის) ასევე ბასს 17-ის ფარგლებში (წარმოდგენილი შესადარისი პერიოდისთვის) იმისათვის, რომ მომხმარებლებმა გაიგონ მიმდინარე პერიოდი, ისევე როგორც შესადარისი ინფორმაცია და ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში (შენიშვნა 3).

2019 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა

ხელშეკრულების დადებისას, კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, კომპანია ფასს 16-ის იჯარის განმარტებას იყენებს.

წინამდებარე პოლიტიკა გამოიყენება ხელშეკრულებებზე რომლებიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ.

2019 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული პოლიტიკა

2019 წლის 1 იანვრამდე დადებული ხელშეკრულებებისთვის, კომპანიამ განსაზღვრა იყო თუ არა ან შეიცავდა თუ არა გარიგება იჯარას, შემდეგი შეფასების საფუძველზე:

- დამოკიდებული იყო თუ არა გარიგების შესრულება კონკრეტული აქტივის ან აქტივების გამოყენებაზე; და
- გარიგებამ გადასცა თუ არა აქტივის გამოყენების უფლება. გარიგება გადასცემს აქტივის გამოყენების უფლებას თუ ერთ-ერთი შემდგომი პირობა არის დაკმაყოფილებული:
 - შემსყიდველს ჰქონდა აქტივის გამოყენების უნარი ან უფლება, გამოშვებული პროდუქციის უმნიშვნელო ოდენობაზე მეტის მიღების ან კონტროლის თანადროულად;
 - შემსყიდველს ჰქონდა აქტივზე ფიზიკური წვდომის კონტროლის უნარი ან უფლება, გამოშვებული პროდუქციის უმნიშვნელო ოდენობაზე მეტის მიღების ან კონტროლის თანადროულად; ან
- ფაქტები და გარემოებები მიუთითებდა იმაზე, რომ იმის ალბათობა რომ სხვა მხარეებმა მიიღონ გამოშვებული პროდუქციის უმნიშვნელო ოდენობაზე მეტი, იყო ძალიან დაბალი, და ერთეულის ფასი არ იყო არც ფიქსირებული გამოშვებული პროდუქციის თითო ერთეულზე, არც ტოლი გამოშვებული პროდუქციის თითო ერთეულის მიმდინარე საბაზრო ფასისა.

(i) ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში წილები

კომპანიის ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში წილები მოიცავს წილებს მეკავშირე საწარმოებში.

მეკავშირე საწარმოები არის საწარმოები რომლებშიც კომპანიას აქვს არსებითი გავლენა, მაგრამ არა კონტროლი ან ერთობლივი კონტროლი ფინანსურ და საოპერაციო პოლიტიკებზე. არსებითი გავლენა არსებობს როდესაც კომპანია ფლობს სხვა საწარმოს 20% -დან 50%-მდე ხმის მიცემის უფლებას.

წილები მეკავშირე საწარმოებში აღირიცხება კაპიტალის მეთოდის გამოყენებით და თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. ინვესტიციის თვითღირებულება მოიცავს გარიგების ხარჯებს.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის წილს ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში, სააღრიცხვო პოლიტიკებში განხორციელებული კორექტირებების შემდეგ (კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებთან მოსარგებად), აღნიშნული არსებითი გავლენის დაწყების თარიღიდან, არსებითი გავლენის შეწყვეტის თარიღამდე.

როდესაც კომპანიის ზარალის წილი აჭარბებს მის წილს ინვესტიციებში მეკავშირე საწარმოებში, აღნიშნული წილის საბალანსო ღირებულება, ნებისმიერი გრძელვადიანი ინვესტიციების ჩათვლით, შემცირებულია ნულამდე, და შემდგომი ზარალის აღიარება წყდება, გარდა შემთხვევებისა როდესაც კომპანიას აქვს ვალდებულება ან აქვს განხორციელებული გადახდები ინვესტიციის ობიექტის სახელით.

5. ახალი სტანდარტები და ახსნა-განმარტებები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები რომლებიც 2019 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები მიღებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას. მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- კორექტირებები ფასს სტანდარტების კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებებში.
- ბიზნესის განმარტება (ფასს 3-ის შესწორებები).
- არსებითის განმარტება (ბასს 1-ისა და ბასს 8-ის შესწორებები).
- საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკის რეფორმა (ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7-ის შესწორებები)
- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები.
- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის შესწორებები)

6. შემოსავალი და გაყიდვების თვითღირებულება

ლარი	2019	2018
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან		
შემოსავალი საბალანსო ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	392,041,667	341,196,885
შემოსავალი გარანტირებული სიმძლავრის მომსახურებიდან	164,063,485	156,115,181
შემოსავალი ელექტროენერგიის ექსპორტიდან	6,044,007	19,086,610
შემოსავალი ფიქსირებული ტარიფის მქონე მომსახურებიდან	4,735,985	4,796,623
შემოსავალი პირდაპირი ხელშეკრულებებიდან (იმპორტი)	1,321,214	-
სულ შემოსავალი	568,206,358	521,195,299

ლარი	2019	2018
გაყიდული საბალანსო ელექტროენერგიის თვითღირებულება	(392,041,667)	(341,196,887)
გარანტირებული სიმძლავრის მომსახურების თვითღირებულება	(164,063,484)	(156,115,181)
ელექტროენერგიის ექსპორტის თვითღირებულება	(5,337,698)	(17,015,780)
ელექტროენერგიის იმპორტის თვითღირებულება	(1,312,710)	-
სხვა	-	(32,010)
რეალიზებული ელექტროენერგიის/ გაწეული მომსახურების ჯამური თვითღირებულება	(562,755,559)	(514,359,858)

„კომპანია“ ფლობს ბუნებრივ მონოპოლიას საბალანსო ელექტროენერგიის მიწოდებაზე. საბალანსო ელექტროენერგიის ფასწარმოქმნა დაფუძნებულია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბრძანებაზე - „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესები“-ზე.

„კომპანიის“ მომსახურების ფიქსირებული ტარიფი - 0.00019 ლარის ოდენობით თითო კვ/სთ-ზე, განისაზღვრება საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილების მიხედვით.

ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების 38.2 პუნქტის თანახმად, საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ელექტროენერგიის მიწოდება აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზეთის მომწოდებლების მხრიდან ელექტროენერგიის მიწოდების შეფერხების შემთხვევაში. იმავე პუნქტის მიხედვით (38.2) აფხაზეთისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის ოდენობა ექვემდებარება კომპანიისთვის დაბრუნებას ელექტროენერგიის სახით, შემდგომ კომპანიას შეუძლია იგივე ელექტროენერგია გადაყიდოს სხვა კონტრაქტებზე, საბალანსო ელექტროენერგიის გაყიდვის მსგავსი სავაჭრო პირობებით. 2019 წელს, აფხაზეთისთვის საბალანსო ელექტროენერგიის სახით მიწოდებულმა ელექტროენერგიის მოცულობამ 12,7 მილიონი ლარი შეადგინა (2018: ნული). 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, ელექტროენერგიის დებიტორული დავალიანების ოდენობა 5,4 მილიონ ლარს შეადგენდა (2018: ნული), რომელიც შემდგომში იქნა დაბრუნებული კომპანიისთვის 2020 წელს. აფხაზეთთან დადებული გარიგება აღირიცხება საბალანსო ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის ფარგლებში, რადგან კომპანია გარიგებაში მოქმედებს როგორც პრინციპალი, ისევე როგორც საბალანსო ელექტროენერგიით ვაჭრობის სხვა ოპერაციებში.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 აპრილით დათარიღებული N923-ე დადგენილების მიხედვით, 2018 წლის განმავლობაში, კომპანია მომსახურების მიწოდებისას მოქმედებდა როგორც ფინანსური აგენტი. 2015 წლის 9 აპრილს საქართველოს და თურქეთის მთავრობებმა გააფორმეს ხელშეკრულება ენერგეტიკულ სექტორში თანამშრომლობის შესახებ. მოცემული ხელშეკრულების მე-11 მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობამ დაადასტურა ელექტროენერგიის ვალის მთიანი ღირებულების დაბრუნება თურქეთზე (1,000,000,000 კვ/სთ). საქართველოს მხრიდან ელექტროენერგიის მიმწოდებლად არჩეულ იქნა სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“, ხოლო თურქეთის მხრიდან ელექტროენერგიით მოვაჭრე კომპანია „TETAS“-ი.

N923-ე დადგენილების მიხედვით, გაიცა ბრძანება, რომ კომპანიამ შეიძინოს ელექტროენერგია ენგურის ჰიდროელექტროსადგურისგან და მომსახურე ორგანიზაციებისგან და გადასცეს TETAS-ს უსასყიდლოდ. 2018 წელს ენგურჰესისგან და მომსახურე ორგანიზაციებისგან შეძენილი ელექტროენერგიის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 6,465,202 ლარი. ამავე დადგენილება N923-ის მიხედვით, საქართველოს მთავრობა ფარავს ზემოაღნიშნული საქმიანობიდან წარმოშობილი ხარჯების ნახევარს კომპანიის გაუნაწილებელი მოგებიდან, ხოლო ხარჯების დანარჩენი ნაწილი დაფარულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ფულადი სახსრებით (იხილეთ შენიშვნა 14). მსგავსი გარიგებები არ მომხდარა 2019 წელს.

N923-ე დადგენილების მიხედვით, ელექტროენერგიის შეძენისა და მიწოდების ოპერაციებში კომპანია მოქმედებდა როგორც შუამავალი, საქართველოს და თურქეთის მთავრობებს შორის. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, აღნიშნულ ოპერაციებში, კომპანია მოქმედს როგორც აგენტი და არა როგორც პრინციპალი.

ხელმძღვანელობამ, აგენტსა და პრინციპალს შორის განსასხვავებლად გაითვალისწინა შემდეგი ფაქტორები:

- კომპანია არ იღებს საკუთრების უფლებებს საქონელზე და მას არ ეკისრება პასუხისმგებლობა გაყიდულ საქონელზე.
- კომპანია არ ირჩევს მომხმარებელს და/ან რომელი ელექტროენერგიის მომწოდებლისგან შეიძენს ელექტროენერგიას.
- კომპანია არ ექვემდებარება საკრედიტო რისკს შესყიდულ ელექტროენერგიასთან დაკავშირებით.

- კომპანიას არ შეუძლია გავლენა იქონიოს გასაყიდ ფასებზე, რომელიც უნდა იყოს იგივე რაც ელექტროენერგიის მომწოდებლის მიერ დადგენილი შესყიდვის ფასები.

ფასს 15-ის თავდაპირველი გამოყენების გავლენა კომპანიის მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებულ შემოსავალზე აღწერილია მე-3 შენიშვნაში. ფასს 15-ის გამოყენებისას არჩეული გადასვლის მეთოდის შედეგად, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული ახალი მოთხოვნების ასახვის მიზნით.

(a) მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის ჩაშლა

ქვემოთ ცხრილში მოცემულია კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის განაწილება ძირითადი გეოგრაფიული ბაზრების, ძირითადი შემოსავლის წყაროების და შემოსავლის აღიარების ვადების მიხედვით:

ლარი	2019	2018
ძირითადი გეოგრაფიული ბაზრები		
ადგილობრივი	562,162,351	502,108,689
უცხოური	6,044,007	19,086,610
სულ შემოსავალი	568,206,358	521,195,299

(b) სახელშეკრულებო ნაშთები

შემდეგ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია მოთხოვნებზე მოხმარებლებთან დადებული ხელშეკრულებებიდან:

ლარი	2019	2018
მოთხოვნები, რომლებიც შეტანილია სავაჭრო და სხვა		
მოთხოვნებში	69,976,603	73,377,851

საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე, კომპანიას არ აქვს სახელშეკრულებო აქტივები ან ვალდებულებები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.

(c) ნაკისრი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები

შემოსავალი ფასდება მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ოდენობის მიხედვით. კომპანია აღიარებს შემოსავალს მაშინ როდესაც ის გადასცემს საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლს მომხმარებელს, იხილეთ შენიშვნა 3(b).

7. წმინდა ფინანსური შემოსავალი

ლარი	2019	2018
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშებზე		
ექტური პროცენტის მეთოდის მიხედვით	1,173,565	2,081,413
ფინანსური შემოსავალი	1,173,565	2,081,413
ფასს 16-ის ფარგლებში დარიცხული საპროცენტო		
ხარჯი	(186,402)	-
უცხოური გაცვლითი კურსის წმინდა ზარალი	(120,562)	(142,207)
ფინანსური ხარჯები	(306,964)	(142,207)
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა	866,601	1,939,206
ფინანსური შემოსავალი	866,601	1,939,206

8. ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2019	2018
ხელფასები	2,834,022	2,694,128
ცვეთა და ამორტიზაცია*	938,994	135,465
წარმომადგენლობითი და სამივლინებო ხარჯები	79,615	109,622
კომუნალური ხარჯები	62,716	41,845
საოფისე ხარჯები	62,298	34,781
საოფისე მარაგები	39,437	28,365
სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მხარდაჭერა და შეკეთება	32,409	24,985
საწვავი	30,295	24,070
პროფესიული მომსახურება	23,949	19,712
დაზღვევა	9,878	10,153
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	1,525	4,628
იჯარა (შენიშვნა 3)	-	1,000,000
სხვა ხარჯები	87,346	60,946
	4,202,484	4,188,700

*ცვეთა და ამორტიზაცია მოიცავს აქტივი გამოყენების უფლებით ცვეთას 761 ათასი ლარის ოდენობით.

ზემოთ მოცემული პროფესიული მომსახურება მოიცავს აუდიტორული კომპანიისათვის, აუდიტორული და სხვა პროფესიული მომსახურების გაწევისთვის გადახდილ თანხებს დაახლოებით 20 ათასი ლარის ოდენობით.

9. გაუფასურების ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე/(უიმედო ვალის ხარჯის აღდგენა, წმინდა)

ლარი	შენიშვნა	2019	2018
ანარიცხი სავაჭრო მოთხოვნებისთვის	16(b)(ii)	4,192,439	5,062,542
ადრე დარიცხული უიმედო ვალის ხარჯის აღდგენა	16(b)(ii)	(1,901,301)	-
გაუფასურების ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე და/(გაუფასურების ზარალის აღდგენა)		2,291,138	5,062,542

2019 წელს, კომპანიამ აღადგინა ერთი კლიენტის ადრე სრულად დარეზერვებული ნაშთი, ხოლო ახალი კლიენტის ფინანსური სირთულეების გამო, ნაშთი იქნა სრულად დარეზერვებული 2019 წლის 31 დეკემბრისთვის.

2018 წლის განმავლობაში კომპანიამ ახალ კლიენტებთან გააფორმა ხელშეკრულებები. ამათგან ორი კლიენტის მიმართ მოთხოვნების ნაშთები 100%-ით დარეზერვებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ერთ-ერთი კლიენტი, 2,619,859 ლარის ნაშთით, გაკოტრდა, ხოლო მეორე, 2,031,868 ლარის ნაშთით, ფინანსური სირთულეების წინაშე დადგა. 2018 წლის 31 დეკემბრის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შეფასებაში ეს ნაშთები წარმოდგენილია დეფოლტის კატეგორიაში, ნაშთების დაბრუნების ნულპროცენტიანი ალბათობით, შედეგად, კომპანიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ამ ნაშთების მიმართ 100%-იანი ანარიცხის გაკეთება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის.

10. მოგების გადასახადი

(a) მოგებაში ან ზარალში აღიარებული ოდენობები

„კომპანიის“ მოქმედი საგადასახადო განაკვეთი არის 17.64%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთი საქართველოს კომპანიებისთვის.

ლარი	2019	2018
მიმდინარე გადასახადის ხარჯი		
მიმდინარე წელი	39,578	112,741
სულ გადასახადის ხარჯი	39,578	112,741

ეფექტური საგადასახადო განაკვეთის შეჯერება

	2019		2018	
	ლარი	%	ლარი	%
გამოცხადებული დივიდენდები	1,000,000		3,234,600	
მოგების გადასახადით დასაბეგრი დივიდენდები	1,000,000		3,234,600	
გადასახადი ადგილობრივი საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით*	176,471	17.64	570,683	17.64
დივიდენდებზე საგადასახადო ვალდებულების ჩათვლა	(136,893)	(13.69)	(457,942)	(14.16)
მოგების გადასახადის ხარჯი	39,578	3.96	112,741	3.49

* საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, 309-ე მუხლის 92-93 ნაწილის თანახმად, საგადასახადო შეღავათები ხელმისაწვდომია მიმდინარე გადასახადისთვის, რომელიც გადახდილია 2008-2016 წლებში გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ეს მოგება განაწილებულია 2017 წელს ან შემდგომ წლებში. 2018 და 2017 წლებში გამოცხადებული დივიდენდები იყო 2008-2016 წლების განუწილებელი მოგებიდან.

11. ძირითადი საშუალებები

ლარი	სატრანსპორტო საშუალებები	აპარატურა და მოწყობილობები	კომპიუტერები და ტექნიკური აღჭურვილობა	სულ
თვითღირებულება ან სავარაუდო ღირებულება/გადაფასებული ღირებულება				
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	140,278	138,046	140,871	419,195
შესყიდვები	-	43,499	269,296	312,795
გაყიდვები	-	(3,207)	(2,265)	(5,472)
გადაფასება	30,880	15,043	2,900	48,823
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	171,158	193,381	410,802	775,341
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	171,158	193,381	410,802	775,341
შესყიდვები	-	11,703	43,304	55,007
გაყიდვები	-	(559)	(23)	(582)
გადაფასება	-	63	2	65
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	171,158	204,588	454,085	829,831
ცვეთა და გაუფასურების ზარალი				
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	(76,028)	(74,046)	(73,760)	(223,834)
წლის ცვეთა	(17,240)	(19,566)	(54,079)	(90,885)
გაყიდვები	-	1,590	1,133	2,723
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	(93,268)	(92,022)	(126,706)	(311,996)
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	(93,268)	(92,022)	(126,706)	(311,996)
წლის ცვეთა	(16,520)	(24,847)	(82,739)	(124,106)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	(109,788)	(116,869)	(209,445)	(436,102)
საბალანსო ღირებულებები				
2018 წლის 1 იანვარს	64,250	64,000	67,111	195,361
2018 წლის 31 დეკემბერს	77,890	101,359	284,096	463,345
2019 წლის 31 დეკემბერს	61,370	87,719	244,640	393,729
საბალანსო ღირებულებები გადაფასებების გარეშე				
2018 წლის 1 იანვარს	-	23,214	22,752	45,966
2018 წლის 31 დეკემბერს	-	45,530	236,837	282,367
2019 წლის 31 დეკემბერს	-	31,828	197,379	229,207

ძირითადი საშუალებების გადაფასება

2018 წელს, ხელმძღვანელობამ დაიქირავა დამოუკიდებელი შემფასებელი ძირითადი საშუალებების დამოუკიდებელი შეფასებისთვის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბაზრო შედარების მიდგომის გამოყენებით. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების ანალიზისას, ხელმძღვანელობამ დაადგინა რომ 393,729 ლარის ოდენობით საბალანსო ღირებულებები მათ სამართლიან ღირებულებებს უახლოვდებოდა. ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება თავდაპირველად განისაზღვრა ღია ბაზარზე მსგავსი ტიპის ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულების მეშვეობით, რომელიც გადანაწილდა სამართლიანი ღირებულების მე-2 დონეზე.

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2019	2018
საბალანსო ელექტროენერგია	51,290,921	57,018,952
გარანტირებული სიმძლავრე	15,737,987	15,517,048
პირდაპირი ხელშეკრულებები	1,971,883	170,535
გაწეული მომსახურება	428,476	463,261
ავანსები	103,490	103,350
სხვა მოთხოვნები	547,336	208,055
	70,080,093	73,481,201

კომპანიის დაქვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკზე და ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი განხილულია მე-16 შენიშვნაში.

13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ლარი	2019	2018
საბანკო ნაშთები	3,963,095	12,828,155
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში	3,963,095	12,828,155

საბანკო ნაშთები წარმოადგენს მოთხოვნად ანაზღაურებს 3-თვიანი ან ნაკლები დაფარვის ვადით შემდგომი თარიღიდან.

„კომპანიის“ საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი წარმოდგენილია მე-16 შენიშვნაში.

14. კაპიტალი და რეზერვები

(a) სააქციო კაპიტალი

	ჩვეულებრივი აქციები	
	2019	2018
აქციების რაოდენობა		
ავტორიზებული აქციები	87,309	87,309
ნომინალური ღირებულება	GEL 1	GEL 1
გამოშვებული 31 დეკემბერს	87,309	87,309

ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილი არიან მიიღონ დროადადრო გამოცხადებული დივიდენდები და მათ გააჩნიათ თითო აქციაზე ერთი ხმის უფლება „კომპანიის“ აქციონერთა კრებაზე.

(b) დივიდენდები

გადასახდელი დივიდენდები შეზღუდულია „კომპანიის“ მაქსიმალური გაუნაწილებელი მოგებით, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „კომპანიის“ გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, რომელიც განსაზღვრულია „კომპანიის“, ფასს-ის შესაბამისად მომზადებულ ნორმატიულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2019 წელს „კომპანიამ“ გამოაცხადა და გადაიხადა 1,000,000 ლარის ოდენობით დივიდენდები, 2019 წლის 1 ივლისით დათარიღებული საპარტნიორო ფონდის გადაწყვეტილების მიხედვით.

2018 წელს „კომპანიამ“ გამოაცხადა 3,231,600 ლარის ოდენობით დივიდენდები, 2018 წლის 27 აპრილით დათარიღებული საქართველოს მთავრობის განკარგულება N923-ის მიხედვით, და დამატებით კომპანიამ გადაიხადა 3,000 ლარის ოდენობით საწევრო. დივიდენდის გადახდაზე და განკარგულება N923-ზე დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-6 შენიშვნაში. დივიდენდები განაწილდა 2008-2016 წლების გაუნაწილებელი მოგებიდან.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2019	2018
საბალანსო ელექტროენერგია	44,413,276	56,306,946
გარანტირებული სიმძლავრე	15,089,020	15,610,971
საექსპორტო ელექტროენერგია	682,832	682,824
მიღებული მომსახურება	320,655	429,556
სხვა ვალდებულებები	37,703	66,492
	60,543,486	73,096,789

„კომპანიის“ სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებულ სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარება წარმოდგენილია მე-16 შენიშვნაში.

16. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის სტანდარტული ოპერაციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას.

„კომპანიამ“ განსაზღვრა სამართლიანი ღირებულება შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის სტანდარტული ოპერაციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის. შეფასების მეთოდი წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს.

„კომპანიის“ შეფასების თანახმად, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „კომპანია“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი (იხ. i);
- ლიკვიდურობის რისკი (იხ. ii);
- საბაზრო რისკი (იხ. iii)

წინამდებარე შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის მიერ ზემოაღნიშნულ რისკებზე დაქვემდებარებაზე, კომპანიის რისკების მართვისა და შეფასებისთვის დადგენილი მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების შესახებ და ასევე კომპანიის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

„კომპანიის“ ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა „კომპანიის“ რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. „კომპანიის“ ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკას.

„კომპანიის“ რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „კომპანიის“ წინაშე მდგარი რისკების გამოვლენისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკის საზღვრების და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკებისა და მისი საზღვრების დაცვის მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. „კომპანია“ მიზნად ისახავს მისი ტრენინგების, მმართველობითი სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, სადაც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქციები და მოვალეობები.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი „კომპანიას“ ძირითადად წარმოეშვება სავაჭრო მოთხოვნებიდან კლიენტების მიმართ და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ დაქვემდებარებას საკრედიტო რისკზე. მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე საანგარიშგებო თარიღისთვის იყო შემდეგი:

ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2019	2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები*	64,596,031	73,377,851
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,963,095	12,828,155
	68,559,126	86,206,006

* სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთი წარმოდგენილია აფხაზეთიდან მისაღები ოდენობის გამოკლებით (შენიშვნა 6).

სავაჭრო მოთხოვნები

„კომპანიის“ დამოკიდებულებაზე საკრედიტო რისკზე ძირითადად მოქმედებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალურ მახასიათებლები. თუმცა, ხელმძღვანელობა ასევე განიხილავს „კომპანიის“ მომხმარებელთა დემოგრაფიულ მონაცემებს, იმ მრეწველობებისა და ქვეყნის დეფოლტის რისკების ჩათვლით, რომლებშიც მომხმარებლები საქმიანობენ, რადგან ამ ფაქტორებმა შეიძლება გავლენა იქონიოს საკრედიტო რისკზე. „კომპანიის“ შემოსავლის დაახლოებით 31% (2018 წელს: 46%) წარმოადგენს გაყიდვის ოპერაციებს ერთ მომხმარებელთან - სს „ენერგო პრო ჯორჯიასთან“. „კომპანიის“ საექსპორტო გაყიდვები თურქეთში, რუსეთში, სომხეთში, და აზერბაიჯანში, 2019 წლის მთლიანი საექსპორტო გაყიდვებიდან მოიცავს 0%, 47%, 20%, და 33%-ს, შესაბამისად (2018 წელს: თურქეთი 58%, რუსეთი 21 %, სომხეთი 0%, და აზერბაიჯანი 21%).

„კომპანიის“ ხელმძღვანელობამ დაადგინა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური გადახდისუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება „კომპანიის“ სტანდარტული გადახდისა და მიწოდების პირობების შეთავაზება. „კომპანიის“ განხილვა/შემოწმება მოიცავს ინფორმაციის ანალიზს გარე წყაროებზე დაყრდნობით, მათი ხელმისაწვდომობის შემთხვევაში.

კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შესაბამისად, 2014 წლის 1 სექტემბრიდან, კომპანია მოქმედებს როგორც პრინციპალი და თავის თავზე იღებს ყველა არსებულ საკრედიტო რისკს გაყიდულ საბალანსო და გარანტირებულ ელექტროენერგიასთან დაკავშირებით. კომპანია ასევე ვალდებულია გადაუხადოს ელექტროენერგიის მწარმოებელ კომპანიებს წარმოებული და მიწოდებული საბალანსო და გარანტირებულ ელექტროენერგიისთვის.

„კომპანიის“ მომხმარებელთა 90%-ზე მეტს მრავალწლიანი საქმიანი ურთიერთობა აქვს „კომპანიასთან“ და ზარალს იშვიათად ჰქონდა ადგილი. მომხმარებლის საკრედიტო რისკის მონიტორინგისას მომხმარებლები დაჯგუფებულები არიან მათი საკრედიტო მახასიათებლების, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, ხანდაზმულობისა და ვადაგადაცილების ისტორიის, ასევე წინა პერიოდებში ფინანსური სირთულეების არსებობის მიხედვით. სავაჭრო მოთხოვნები უკავშირდება „კომპანიის“ საბითუმო მომხმარებლებს. მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს წინასწარ გარანტიებს, შესაბამისად კომპანია არ მოითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით.

„კომპანია“ განსაზღვრავს გაუფასურების რეზერვს რაც ასახავს მის სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებულ გაწეული ზარალის შეფასებას. ამ რეზერვის ძირითადი კომპონენტებია ინდივიდუალურად მნიშვნელოვან დაქვემდებარებულთან დაკავშირებული სპეციფიკური ზარალის კომპონენტი და მსგავსი აქტივების ჯგუფებისათვის დადგენილი კოლექტიური ზარალის კომპონენტი, იმ ზარალებთან მიმართებაში რომლებიც გაწულია, მაგრამ ჯერ არ არის იდენტიფიცირებული. კოლექტიური ზარალის რეზერვი განისაზღვრება მსგავსი ფინანსური აქტივების გადახდის სტატისტიკის ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით.

საანგარიშგებო თარიღისთვის, „კომპანიის“ სავაჭრო მოთხოვნების 98%-ი უკავშირდება ადგილობრივ საბითუმო მომხმარებლებს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით „კომპანიას“ ჰყავდა რვა საბითუმო ადგილობრივი მომხმარებელი (2018 წელს: ოთხი მომხმარებელი) და ისინი წარმოადგენდნენ მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების 65%-ზე მეტს (2018 წელს: 98%).

გაუფასურების ზარალი

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო რისკზე დაქვემდებარების შეჯამება:

ლარი	კრედიტით გაუფასურებული	ბრუტო 2019	გაუფასურება 2019	ბრუტო 2018	გაუფასურება 2018
დაბალი რისკი	არა	64,720,325	(371,382)	73,788,666	(410,815)
მაღალი რისკი (შენიშვნა 9)	კი	7,229,387	(6,982,298)	4,651,727	(4,651,727)
		71,949,711	(7,353,680)	78,440,393	(5,062,542)

კლიენტის საკრედიტო რისკის მონიტორინგის დროს, კლიენტები ჯგუფდებიან მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, მათ შორის იმის მიხედვით, ისინი ფიზიკური პირები არიან თუ იურიდიული, ვადიანობის პროფილის, დაფარვის ვადის და ადრე არსებული ფინანსური სირთულეების მიხედვით.

დაბალი რისკი - კონტრაგენტს აქვს ძლიერი უნარი მოკლევადიან პერიოდში დააკმაყოფილოს მისი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებები, ხოლო ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს უარყოფით ცვლილებებს გრძელვადიან პერიოდში სავარაუდოდ არ ექნება უარყოფითი გავლენა კლიენტის უნარზე დააკმაყოფილოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების ვალდებულებები. საშუალო შეწონილი ზარალის განაკვეთი დაბალი რისკის მქონე კატეგორიისთვის არის დაახლოებით 1% (2018: 1%).

მაღალი რისკი - კონტრაგენტებს, მოკლევადიან პერიოდში აქვთ მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებების დაკმაყოფილების სუსტი უნარი, ხოლო ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს უარყოფითი ცვლილებები გრძელვადიან პერიოდში სავარაუდოდ შეამცირებს კონტრაგენტების მიერ მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებების დაკმაყოფილების უნარს. საშუალო შეწონილი ზარალის განაკვეთი მაღალი რისკის კატეგორიისთვის არის 90-100 %.

კომპანია ადგენს გაუფასურების რეზერვს რაც წარმოადგენს მისი მოსალოდნელი ზარალის შეფასებას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში. მოცემული რეზერვის ძირითადი კომპონენტი არის ჯგუფური ზარალის კომპონენტი. კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება ადგილობრივი კლიენტებისგან რომლებსაც კომპანიასთან სამუშაო ურთიერთობების გრძელვადიანი გამოცდილება და კარგი საკრედიტო ისტორია აქვთ.

წლის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში გაუფასურების რეზერვში მოძრაობა იყო შემდეგი:

ლარი	გაუფასურების რეზერვი	
	2019	2018
ნაშთი წლის დასაწყისში	(5,062,542)	-
არა კრედიტით გაუფასურებულ მოთხოვნებზე აღიარებული გაუფასურების ზარალი	-	(410,815)
კრედიტით გაუფასურებულ მოთხოვნებზე აღიარებული გაუფასურების ზარალი	(4,192,439)	(4,651,727)
ადრე აღიარებული გაუფასურებების აღდგენა (შენიშვნა 9)	1,901,301	-
ნაშთი წლის ბოლოს	(7,353,680)	(5,062,542)

365 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულ საცალო კლიენტების მთლიან სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე გამოყენებულ იქნა 100%-იანი გაუფასურების განაკვეთი, უფრო მოკლე პერიოდით ვადაგადაცილებულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე გამოყენებულ იქნა უფრო დაბალი გაუფასურების განაკვეთი. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიში გამოიყენება გაუფასურების ზარალის აღრიცხვისთვის მანამ სანამ კომპანია არ შეჯერდება იმ აზრზე, რომ აღარ არის მისაღები თანხის ამოღება შესაძლებელი; ამ დროს ეს ოდენობა მიჩნეულია არა-აღდგენადად და პირდაპირ ჩამოიწერება ფინანსური აქტივიდან.

(iii) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანია“ ფლობდა 3,963,095 ლარის ოდენობით ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს (2018 წელს: 12,828,155 ლარი), რაც წარმოადგენს ამ აქტივებზე მის მაქსიმალურ საკრედიტო დამოკიდებულებას. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია საქართველოს წამყვან ბანკში, მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგით B (Fitch-ის სარეიტინგო სააგენტო მიხედვით).

ხელმძღვანელობას არ მიაჩნია რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გაუფასურება შეფასებულია 12-თვიანი მოსალოდნელი ზარალის საფუძველზე და ასახავს დამოკიდებულებების მოკლე ვადიანობას. კონტრაგენტების გარე საკრედიტო შეფასებებზე დაყრდნობით კომპანია მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი.

(iv) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დაფაროს მისი ფინანსური ვალდებულებები, რომელთა დასაფარად აუცილებელია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადინება. ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომა მოიცავს შესაძლებლობის ფარგლებში იმის უზრუნველყოფას, რომ ყოველთვის ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად, მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ისე - სტრესულ სიტუაციებში, მისი რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების და მიუღებელი ზარალის გაწევის გარეშე.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მთლიანად განთავსებულია მიმდინარე ანგარიშზე ბანკში, რომელიც ასევე ამყარებს „კომპანიის“ ლიკვიდურობას.

მომდევნო ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადიანობა, სავარაუდო საპროცენტო გადახდების ჩათვლით და ურთიერთჩათვლის ხელშეკრულებების გავლენის გამოკლებით:

31 დეკემბერი 2019 ლარი	სახელშეკრულებო		
	საბალანსო ღირებულება	ფულადი ნაკადები	12 თვეზე ნაკლები
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	901,458	1,000,000	1,000,000
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	60,543,486	60,543,486	60,543,486
	61,444,944	61,543,486	61,543,486

31 დეკემბერი 2018 ლარი	სახელშეკრულებო		
	საბალანსო ღირებულება	ფულადი ნაკადები	12 თვეზე ნაკლები
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	73,096,789	73,096,789	73,096,789

არ არის მოსალოდნელი, რომ ვადიანობის ანალიზში შეტანილ ფულად ნაკადებს ადგილი ჰქონდეს მნიშვნელოვნად ადრე ან მნიშვნელოვნად განსხვავებული თანხებით.

(v) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

„ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესები“-ს მიხედვით რომელიც გამოცემულია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ, კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი სავალუტო რისკი.

(c) კაპიტალის მართვა

კომპანიის საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა. ამასთანავე, კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალის მოთხოვნებს.

17. პირობითი ვალდებულებები

(a) სასამართლო დავა

ხელმძღვანელობის აზრით, ადგილი არ აქვს მიმდინარე სამართლებრივ საქმეთწარმოებას ან სხვა დარჩენილ დავას, რამაც შესაძლოა არსებითად იმოქმედოს „კომპანიის“ ფუნქციონირებასა და ფინანსურ მაჩვენებლებზე, და რომლებიც არ არის დარიცხული ან განხილული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

(b) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოში

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილება, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო წელიწადი შეიძლება გადაიხედოს საგადასახადო ორგანოების მიერ სამი თანმიმდევრული წლის განმავლობაში, თუმცა კონკრეტულ შემთხვევებში საგადასახადო წელიწადი შეიძლება უფრო დიდხანს დარჩეს დაუხურავი.

ზემოთხსენებული საგადასახადო ვითარებები ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემებით. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს და წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე მათი გავლენა (იმ შემთხვევაში, თუ უწყებები წარმატებით განახორციელებენ მათ ინტერპრეტაციებს) შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

(c) ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები

„კომპანიას“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ახალი ჰიდროელექტროსადგურების, თერმოელექტროსადგურებისა და ქარის ელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგიის შესყიდვაზე. მთლიანობაში 7 (2018 წელს: 48 ხელშეკრულება) ამგვარი ხელშეკრულება გაფორმდა. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ელექტროსადგურები არის მშენებარე და მათი დასრულება 2020 წლის განმავლობაში იგეგმება. 2019 წელს თერთმეტი ელექტროსადგურის მშენებლობა დასრულდა (2018 წელს: ხუთი ელექტროსადგური).

ხელმძღვანელობის აზრით, ამგვარი ხელშეკრულებები წარმოადგენს „სააღსრულებო ხელშეკრულებებს“ და ისინი არ წარმოადგენს დამამძიმებელ ხელშეკრულებებს ბასს 37-ის (ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები) შესაბამისად. შეუძლებელია შემოსავლის ოდენობის მიახლოება და იმ გაყიდვების თვითღირებულების სანდოდ შეფასება, რომლებიც „კომპანიას“ წარმოექმნება მშენებლობის დასრულების და ელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის გამომუშავების დაწყების შემდეგ.

18. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

„კომპანიის“ დამფუძნებელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის საქართველოს მთავრობა. კომპანიის 100%-იანი მშობელი კომპანია არის სს „საპარტნიორო ფონდი“ (როგორც სახელმწიფო ორგანიზაცია), თუმცა კომპანიის აქციების 100%-ის კონტროლის უფლება აქვს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს.

სს „საპარტნიორო ფონდი“ გამოსცემს საჯაროდ ხელმისაწვდომ, ფასს სტანდარტებთან შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებას.

(b) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

(i) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შეტანილია „ხელფასებში“ (იხილეთ შენიშვნა 8):

ლარი	2019	2018
ხელფასები და ბონუსები	255,043	361,600

(c) ოპერაციები საქართველოს მთავრობასთან

სს „საპარტნიორო ფონდი“ ფლობს „კომპანიის“ აქციების 100%-ს (2018 წელს: 100%), ხოლო კომპანიის ხმის მიცემის უფლების 100%-ს ფლობს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (2018: 100%) და ეს საკუთრება მთავრობას „კომპანიაზე“ მნიშვნელოვანი გავლენის საშუალებას აძლევს. გარდა ამისა, „კომპანია“ ყოველდღიურად ურთიერთობს ისეთ კომპანიებთან, რომლებიც კონტროლდება მთავრობის მიერ ან მთავრობის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ იმყოფება. „კომპანია“ იყენებს გათავისუფლების უფლებას ბასს 24 დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნებიდან, რაც უფლებას აძლევს შემჭიდროებულად წარმოადგინოს დაკავშირებულ მხარეთა ის განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც ეხება ოპერაციებს მთავრობასთან დაკავშირებულ საწარმოებთან.

ერთობლივად, მაგრამ არა ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ოპერაციები

„კომპანია“ ფუნქციონირებს ენერგეტიკის სფეროში, რომელშიც დომინირებენ საქართველოს მთავრობის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ, მთავრობასთან დაკავშირებული საწარმოების მეშვეობით, კონტროლირებადი კომპანიები.

ეს ოპერაციები ხორციელდება „კომპანიის“ ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში, სადაც „კომპანიის“ სამუშაო პირობები არ განსხვავდება სხვა მთავრობასთან არადაკავშირებული კომპანიების პირობებისგან. პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით „კომპანიამ“ დანერგა შესყიდვის პოლიტიკები და პროდუქტებისა და მომსახურებების შესყიდვის დამტკიცების პროცესები, რომლებიც დამოუკიდებელი არიან იმ ფაქტისგან, არიან თუ არა კონტრაქტები მთავრობასთან დაკავშირებული თუ არა.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ „კომპანიის“ სახელმწიფოსთან დაკავშირებულ სხვა სუბიექტებთან მნიშვნელოვანი ოპერაციების ჯამური ოდენობა შეადგენს საბალანსო ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვების სულ მცირე 28%-ს (2018 წელს: 38%) და საბალანსო ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის შეძენების 0.2%-ს (2018 წელს: 1%).

19. სხვა ინვესტიციები

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“ დაარსდა 2019 წლის დეკემბერში, კომპანიისა და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 50%-იანი თანაბარი თანამონაწილეობით. სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“ წარმოადგენს ორგანიზებული ელექტროენერგიის ბაზრების ოპერატორს და ყოველდღიური ბაზრების დადგენას უზრუნველყოფს. 2019 წლის განმავლობაში, კომპანიამ განახორციელა 302 ათასი ლარის ოდენობის ინვესტიცია.

იმ ხელშეკრულების პირობების მიხედვით, რომლის ფარგლებშიც დაარსდა საწარმო, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს რომ კომპანია არ აკონტროლებს სს „საქართველოს ენერგეტიკულ ბირჟას“. მაშასადამე, კაპიტალის მეთოდის ფარგლებში, 2019 წლის 31 დეკემბრისთვის საწარმო აღირიცხება როგორც ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში.

20. შემდგომი მოვლენები

წინა პერიოდების ფაქტობრივი და ფაქტობრივი საშუალო ზარალების კორექტირება

2020 წლის 16 იანვარს კომპანიამ მიიღო წერილი სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისგან“ რომლის მიხედვითაც კომპანიამ უნდა გაასწოროს ფაქტიური და ფაქტიური საშუალო ზარალის ოდენობები 2017 წლის 1 აგვისტოდან 2019 წლის 1 სექტემბრამდე მიწოდებულ/მოხმარებულ ელექტროენერგიაზე. ფულადი სახით კორექტირება 2,011 ათასი ლარით ამცირებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და ვალდებულებებს (საბალანსო ელექტროენერგია), საიდანაც 766 ათასი ლარი უკავშირდება 2019 წლის განმავლობაში შეძენილ და გაყიდულ ელექტროენერგიას.

კორექტირების ხასიათის გათვალისწინებით ხელმძღვანელობამ კორექტირება 2020 წელს, არამაკორექტირებელი მოვლენის სახით განიხილა. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ თავდაპირველი შეფასებები თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის ელექტროენერგიის ზარალის განსაზღვრისთვის იყო შესაბამისი, რადგან საანგარიშგებო თარიღებისთვის არსებული ყველა ფაქტი და გარემოება (კონტრაგენტების მიერ დამტკიცებული აქტებისა და დასტურების ჩათვლით) იყო გათვალისწინებული აღნიშნულ შეფასებებში და გამოთვლები განხორციელდა ელექტროენერგიის (სიმძლავრის) საბაზრო წესების მიხედვით.

მშობელი კომპანიის ცვლილება

2020 წლის 28 თებერვალს საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული გადაწყვეტილების მიხედვით, კომპანიის პირდაპირ მშობელ კომპანიას, სს „საპარტნიორო ფონდს“ ჩაანაცვლებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ამ გადაწყვეტილების თანახმად, კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანია არის საქართველოს მთავრობა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელით.

COVID-19-ის აფეთქება

2020 წლის 11 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) COVID-19 კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. პირველი შემთხვევა საქართველოში ოფიციალურად 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა. ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომების ნაწილის სახით, საქართველოს მთავრობამ ქვეყანაში საქმიანობებზე გარკვეული შეზღუდვები დააწესა. სხვადასხვა დროს დაწესებული შეზღუდვები მოიცავს ტრანსპორტით მოგზაურობის აკრძალვას, ქვეყნის შიგნით ყველა მოგზაურობის შეზღუდვას კონკრეტული საათების განმავლობაში, ყველა საზოგადოებრივი ტრანსპორტის დახურვას, ყველა კომერციული საქმიანობის შეჩერებას, გარდა შემთხვევებისა, როდესაც შეიძლება საქმიანობა განხორციელდეს დისტანციურად, სახლიდან, აგრეთვე კონკრეტული ბიზნეს საქმიანობები (სასურსათო მაღაზიები, აფთიაქები, კომერციული ბანკები, ბენზინგასამართი სადგურები, ფოსტა და ა.შ.).

COVID-19-ის აფეთქებამ 2020 წლის დასაწყისში და მისმა სწრაფმა გავრცელებამ მსოფლიოს გარშემო, იქონია არსებითი გავლენა და ცვლილებები შეიტანა ბიზნეს გარემოში მსოფლიოს გარშემო ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, რამაც გამოიწვია საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტით დათარიღებული ბრძანების მიხედვით. ბრძანების მიხედვით საგანგებო მდგომარეობა გრძელდებოდა 2020 წლის 21 აპრილამდე, რაც შემდგომ იქნა გახანგრძლივებული 2020 წლის 22 მაისამდე.

საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვები არ ეხება კომპანიის არცერთ ოპერაციას.

ბაზრის ახალი კონცეფცია

2020 წლის 16 აპრილით დათარიღებული, საქართველოს მთავრობის ბრძანება N246-ის მიხედვით შეიქმნა ბაზრის ახალი კონცეფცია. ბაზრის ახალი კონცეფცია ძალაშია 2021 წლის 1 ივლისიდან. აღნიშნულ თარიღამდე კომპანია ძველებურად გააგრძელებს თავის საქმიანობას და ახლად დაფუძნებული სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“ (შენიშვნა 19) იმუშავებს სატესტო რეჟიმში. 2021 წლის 1 ივლისიდან კომპანიის ფუნქცია-მოვალეობები იქნება შემდეგი:

- საჯარო მომსახურების გამწევი ელექტროენერგიის მწარმოებლის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის შეძენა, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი ტარიფით და შეძენილი ელექტროენერგიის გაყიდვა შემოსავლის მიღების მიზნით;
- საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ელექტროენერგიის მოხმარების ფინანსური უსაფრთხოება, ამ კონცეფციისა და შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- იმოქმედოს როგორც საჯარო მომსახურების საბითუმო ორგანიზაცია და ივაჭროს მხოლოდ გარანტირებული ელექტროენერგიით.

მმართველობითი ანგარიში

25 სექტემბერი 2020

ესკო-ს საქმიანობის მიმოხილვა

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (ესკო) ექსკლუზიურად ახორციელებს საბალანსო ელექტროენერგიითა და გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობას, სეზონური საჭიროების მიხედვით ელექტროენერგიის იმპორტსა და ექსპორტს, ამასთანავე გვევლინება ახლად აშენებული ელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგიის გარანტირებულ შემსყიდველად (ესკო ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსაც).

საანგარიშო პერიოდში სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ აქციების 100% სს საპარტნიორო ფონდის საკუთრებაში იყო, აქციების მართვის ხელშეკრულების საფუძველზე „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო“ ახორციელებდა საწარმოს მართვის მიზნით წილის მფლობელთა ძირითად უფლებებსა და მოვალეობებს.

ელექტროენერგიის ბაზრის არსებული მოდელის მიხედვით ესკო ყიდულობს და ყიდის საბალანსო ელექტროენერგიას და გარანტირებულ სიმძლავრეს, ანუ იმ ელექტროენერგიას, რაც იქნა ფაქტიურად გამომუშავებული და ამავდროულად შესაბამისად მოხმარებულიც. ფაქტიურად, ესკოს მეშვეობით ხორციელდება ელექტროენერგიის და გარანტირებული სიმძლავრის ხარჯის გენერირების იდენტური ოდენობით გადატანა მომხმარებელზე, რაც საშუალებას აძლევს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს სრულად მოახდინოს შეძენილი ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის ხარჯების კომპენსირება.

საბალანსო ელექტროენერგიის, ასევე გარანტირებული სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვა **ესკოსათვის არაა მომგებიანი საქმიანობა**, საბალანსო ელექტროენერგიის ფასი განისაზღვრება საბაზრო წესების შესაბამისად, საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე ყოველგვარი სხვა ნამატის გარეშე, ანუ თვითღირებულებით. **ესკო თავისი საქმიანობისათვის იღებს მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილ საკომისიოს (მომსახურების საფასური), რომლის ოდენობა არაა დამოკიდებული მოგების მაჩვენებელზე.**

ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი არის ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვების ხელშეკრულების (PPA-ს) ხელმომწერი მხარე, რაც მოიცავს ახლად აშენებული ჰესებიდან გამომუშავებული ელექტროენერგიის გარანტირებულ შესყიდვის ვალდებულებებს, ძირითადად შემოდგომა-ზამთრის თვეებში, როცა ქვეყანაში ელექტროენერგიის მოხმარება მნიშვნელოვნად მეტია საქართველოში გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობასთან შედარებით.

ესკო არ მონაწილეობს ინვესტორთან გასაფორმებელ მემორანდუმში ფასის და შესასყიდი პერიოდის განსაზღვრის პროცესში. იგი მთავრობასა და ინვესტორს შორის მიღწეული შეთანხმებით, მემორანდუმებში ასახული პირობების გათვალისწინებით ინვესტორთან აფორმებს ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებას.

ხაზგასასმელია და არსებითი ის გარემოება, რომ აღნიშნული სადგურებიდან ესკოს მიერ ელექტროენერგიის შესყიდვისა და გაყიდვის სქემა არსებითად არ განსხვავდება გენერაციის სხვა ობიექტებიდან ელექტროენერგიის შესყიდვისა და რეალიზაციის სქემისაგან.

ესკოს ფინანსური მდგრადობა

კომპანიას გააჩნია მდგრადი ფინანსური მდომარეობა. მტკიცე საგადამხდელო დისციპლინა. ფინანსური მდგრადობა დაკავშირებულია სხვადასხვა მაჩვენებლებთან: საიმედო მონაცემებთან, რომელიც მნიშვნელოვანია მოხმარებისთვის და სარგებლიანი ინფორმაციისთვის, გადაწყვეტილებების მიღებისა და შედეგისათვის. ესკო ცდილობს გააჩნდეს ყოველთვის სრული, დროული, ზუსტი, გასაგები და მნიშვნელოვანი, საიმედო ინფორმაცია. ესკოს წინდახედული და სამართლიანი მიდგომებისა და შეფასებების ჩამოყალიბება, ასევე ფინანსური რესურსების მიზნობრივი და ეფექტური გამოყენება სექტორის მდგრადობის ხელშემწყობია. აღნიშნული ვლინდება სექტორის სხვა კომპანიებთან ურთიერთობის, მაკონტროლებელი ორგანოებისა და აუდიტის ანალიზის შეფასებაზე დაყრდნობით.

საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი

კომპანიას თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში გააჩნდა და გააჩნია საკრედიტო რისკი. ეს არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი (ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე) არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ესკოსათვის კუთვნილი თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. საკრედიტო რისკი კომპანიას ძირითადად წარმოეშობა მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნებიდან.

კომპანიას გააჩნია საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება თითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ანალიზი, რომელიც მოიცავს ინფორმაციის შემოწმებას გარე რესურსებიდან, მათი ხელმისაწვდომობის შემთხვევაში. საწარმოებთან სისტემატური ურთიერთობა, არსებული პრობლემის განხილვა მათთან ერთად და მოცემული რისკების შემცირება.

ასევე, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე მიმართავს ღონისძიებებს საკრედიტო რისკების შემცირების მიზნით, რაშიც იგულისხმება:

ფინანსური ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს დარიცხვა. წერილობითი გაფრთხილებები და ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის ან შეზღუდვის ღონისძიებების გამოყენება („ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ და სტანდარტული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად).

სასამართლოში სარჩელის შეტანა თანხის იძულებით გადახდევინებაზე.

მომხმარებელთა 90%-ზე მეტს სამ წელზე მეტია საქმიანი ურთიერთობა ესკოსთან და ზარალს იშვიათად აქვს ადგილი. კომპანია საკრედიტო რისკის დაბალი მაჩვენებლის მატარებელია (მოვლენის დადგომის ალბათობა 10 წლის განმავლობაში ორი მომხმარებელი). აღნიშნულმა ზარალმა გავლენა არ მოახდინა ორგანიზაციის სტრატეგიულ განვითარებასა და საქმიანობაზე.

საკრედიტო რისკი არსებობს აფხაზეთში მოხმარებული საბალანსო ელექტროენერგიის დავალიანებაზეც. „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ 38-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის შესაბამისად, აფხაზეთის ტერიტორიაზე ელექტროენერგიის მიწოდება ხორციელდება ენგურჰესისა და ვარდნილჰესების კასკადის ჰიდროელექტროსადგურები მიერ. იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთის ტერიტორიაზე ელექტროენერგიის მიწოდება ხდება სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ შესყიდული ელექტროენერგიის ხარჯზე, ენგურჰესი და ვარდნილჰესების კასკადი ვალდებული არიან მომდევნო საანგარიშო პერიოდებში მიაწოდონ სისტემის კომერციულ ოპერატორს ეკვივალენტური რაოდენობის ელექტროენერგია. *სისტემის კომერციული ოპერატორი უფლებამოსილია აღნიშნული ელექტროენერგია გაყიდოს მის მიერ ნაყიდი და აფხაზეთის ტერიტორიაზე მიწოდებული ელექტროენერგიის ფასად.*

ესკო აფხაზეთში მოხმარებული ელექტროენერგიის დაბრუნების შემდგომ იწყებს რეალიზაციას ანუ გაყიდვას. ამ ოპერაციით აფხაზეთში მიწოდებული ელექტროენერგიის ხარჯი აკუმულირებას ახდენს ექსპორტის ან საბალანსო ელექტროენერგიის რეალიზაციის თვითღირებულებაში, რის შემდგომაც ხდება აფხაზეთში საბალანსოს ელექტროენერგიის მოხმარების ხარჯის ამოღება.

სისტემის კომერციული ოპერატორის ხარჯის დროულად ამოღებისათვის ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, ესკოს, ენგურჰესსა და ვარდნილჰესებს შორის გაფორმებულ, ელექტროენერგიის დაბრუნების გრაფიკების შესრულებას, რადგან მხოლოდ ამ წესით დაბრუნებული ელექტროენერგიის გადაყიდვა იძლევა შესაბამისი თანხის ამოღების და საკრედიტო რისკების გადაზღვევის საშუალებას.

ბაზრის წესების აღნიშნული ნორმით, საბალანსო ელექტროენერგიის რეალიზაცია, რაც აფხაზეთს მიეწოდა, ენგურჰესის და ვარდნილჰესების მიერ დაბრუნების დროს (ანაზღაურების გარეშე), თავსდება შესაბამის სამართლებრივ მოთხოვნებში: ენგურჰესის და ვარდნილჰესების მიერ ვალდებულებაა, მიაწოდოს აფხაზეთს ელექტროენერგია უსასყიდლოდ და ესკო საბალანსო ელექტროენერგიის დაბრუნების დროს, აწვდის შიდა მომხმარებლებს ამ ელექტროენერგიას ბაზრის წესების მოთხოვნით, არსებული საშუალო შეწონილი ფასით.

აღნიშნული ბაზრის წესების აღნიშნული ნორმის განხორციელება, საბალანსო ელექტროენერგიის, აფხაზეთში მოხმარებისა და დაბრუნების შედეგად, არ იწვევს რაიმე სახის დამატებით ხარჯებს.

ასევე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ცვლილებათა მიხედვით, სტანდარტი მე-9, რომელიც ანაცვლებს ბასს 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება (ბასს 39) 2018 წლის 1 იანვრიდან, გაუფასურების ზარალის რეზერვები ეფუძნება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღრიცხვის მოდელს და არა დამდგარი ზარალის აღრიცხვის მოდელს.

ფასს --9-ის მიხედვით კომპანიამ საკრედიტო ზარალი შეფასება მოახდინა ინდივიდუალურ დონეზე სადაც რისკის დონე მაღალია, ანუ ფინანსურ აქტივებზე ზარალი უკვე დამდგარია და მისი გამოთვლის გზა განსხვავდება მომავალში მოსალოდნელი ზარალის გამოთვლის გზისაგან, იგი მიკუთვნებული იქნა მე-3 სტადიის რისკის პოზიციაზე, სადაც ზარალი 100%-ის ტოლია და რომელმაც ფაქტობრივად კომპანიის მოგების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შეამცირა.

საკრედიტო ზარალი, რისკის პოზიცია იქ სადაც არ არის მნიშვნელოვანი, გაუფასურება შეფასდა ჯგუფურ დონეზე.

ფასს 9-ის მიხედვით საწარმომ შეფასებების მომენტში გამოიყენა საკრედიტო ზარალის აღრიცხვის ყველა გონივრული და ღირებული დასაბუთებული ინფორმაცია წარსულ მოვლენებზე, მიმდინარე მდგომარეობაზე და შესაბამისად მომავალი ეკონომიკური მდგომარეობაზე დაყრდნობით, რომლის მიხედვით მომზადდა დასაბუთებული, არგუმენტირებული განმარტებები და შეფასებები.

ლიკვიდურობის მართვისას ესკოს მიდგომა არის, რამდენად შესაძლებელია გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულებების გაჩენისას ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა.

ლიკვიდურობის კუთხით არსებული რისკების გავლენის შემცირებას ხელს უწყობს პარტნიორის მიერ წმინდა მოგების სახით საწარმოს განკარგულებაში დატოვებული ფინანსური სახსრები. მოგების მაჩვენებლის ფორმირება ხდება ესკოს მიერ წლის მანძილზე განხორციელებული ექსპორტის ოპერაციებიდან და ამ ოპერაციების განხორციელებაზე დამოკიდებული ესკოს მოგების მაჩვენებელი, შესაბამისად საწარმოს საბრუნავი სახსრების მოცულობა.

ფულადი სახსრები მთლიანად განთავსებულია მიმდინარე ანგარიშზე ბანკში, რომელიც ამყარებს კომპანიის ლიკვიდურობას.

სავალუტო რისკი

კომპანიას გააჩნია სავალუტო ოპერაციები. ესკო სენსიტიური იყო სავალუტო კურსის ცვლილებების მიმართ. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის ბოლოს „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებში“ შესულმა ცვლილებამ, რომლის მიხედვითაც ესკოს მიერ იმპორტირებულ ელექტროენერგიაზე წარმოქმნილი საკურსო სხვაობა აისახება რეალიზებული საბალანსო ელექტროენერგიის ფასში, პრაქტიკულად ნულამდე დაიყვანა სავალუტო რისკი.

სხვა ოპერაციები

საანგარიშო პერიოდის შედეგებით ესკოს გააჩნდა სესხები, კრედიტები და სხვა ანალოგიური სახის ვალდებულებები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ.

არ აქვს გაცემული გარანტიები ან საგარანტიო წერილები, არ ერიცხება ავანსად გადახდილი თანხები. მნიშვნელოვანია, რომ კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებებისგან.

ესკო თავისი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით არ/ვერ იღებს გადაწყვეტილებებს განსახორციელებელი სავაჭრო ოპერაციებთან დაკავშირებულ ისეთ კარდინალურ თემებზე, როგორიცაა ელექტროენერგიის და გარანტირებული სიმძლავრის შესასყიდი ან გასაყიდი ფასების განსაზღვრა, მყიდველი და გამყიდველი საწარმოების შერჩევა, ფასდათმობების განხილვა, გადასახდელების გადაკისრება ან გადავადება და ასე შემდეგ. ყველა ასეთი საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონდებლობის მიხედვით (გარდა ექსპორტის ოპერაციებისა), შესაბამისდ არ წარმოადგენს ესკოს მენეჯერული გადაწყვეტილების საგანს, რაც თავის მხრივ ამცირებს ასეთი გადაწყვეტილებებიდან რისკების წარმოშვების ალბათობას.

ენერგეტიკის სფეროში დაგეგმილი რეფორმების შესახებ

ენერგეტიკის სექტორში დაგეგმილი რეფორმების ხელშეწყობის ფარგლებში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 24.12.2018 წ. N1-1/605 ცვლილებების შეტანის თაობაზე ბრძანებით დამტკიცდა “ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფცია“, რომლის მიზანი არის ელექტროენერგიის ბაზრის ისეთი სტრუქტურის შექმნა, რომელიც როგორც საბითუმო, ისე საცალო ბაზრებზე, უზრუნველყოფს გამჭვირვალე და საინვესტიციო გარემოს შექმნას. ის უზრუნველყოფს ორგანიზებული ბაზრების, მათ შორის დღით ადრე, დღიური და საბალანსო ბაზრების ჩამოყალიბებას; გარდამავალ პერიოდში განსახორციელებელ ღონისძიებების განსაზღვრას;

ასევე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 28 სექტემბრის N1-1/465 ბრძანების მე-2 პუნქტის თანახმად, სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ და სს “ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ დაევალით საწარმოს დაფუძნება 50-50% წილობრივი მონაწილეობით. აღნიშნული ბრძანებით დაფუძნდა შვილობილი კომპანია სს “საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“, რომლის დაფუძნების მიზანი არის, ენერგეტიკის სექტორში მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების ხელშეწყობა, დღით ადრე და შემდგომი დღიური ბაზრების ფორმირების, ბაზრის ოპერატორის ჩამოყალიბებისთვის საჭირო ღონისძიებების მომზადება და კოორდინაცია.

2019 წლის 29 ნოემბერს, აქციონერებმა, სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ და სს “ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულმა ოპერატორმა“ საერთო კრების ოქმით დაამტკიცეს, სს “საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ წესდება და სამელოთვალეურო საბჭო.

ზაზა დვალიშვილი

გენერალური დირექტორი

2019 წლის 29 ნოემბერს, აქციონერებმა, სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ” და სს “ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულმა ოპერატორმა” საერთო კრების ოქმით დაამტკიცეს, სს “საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის” წესდება და სამელთვალყურო საბჭო.

ზაზა დვალიშვილი

გენერალური დირექტორი



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N200770966



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

29.09.2020 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

ლანა მაჭავარიანი

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქალაქი თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. N 46, სართული 2

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

(+995) 595 10 16 08

სანოტარო მოქმედების

31221177956020

ინდივიდუალური ნომერი



მე, ნოტარიუსი ლანა მაჭავარიანი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. #46, სართული 2-ში.
ვამოწმებ ინგლისური ენის დიპლომირებული მთარგმნელის სოფიო კაპანაძის (დაბადებული: 08.02.1991 წ, დაბადების ადგილი: ქ. თბილისი, პირადი ნომერი: 01008047830, პირადობის მოწმობა № # 113IL59605, გაცემულია 12.06.2015 წ., მცხოვრები: თბილისი, ამაშუკელის 16) ხელმოწერის სინამდვილეს წინამდებარე დოკუმენტის, ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმანს. თარგმანმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი: დიპლომი M № 19GE000656KAPS001G, გაცემულია 12.08.2019 წ., BRITISH COUNCIL, IELTS TEST მიერ, თარგმანს ცოდნის საქმის (ინგლისური ენა) სპეციალობით.
მე, თარგმანი გავაფრთხილე თარგმანობის გამომრიცხავი გარემოებებისა და იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს, თარგმანმა ჩემს წინაშე განაცხადა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყო ზუსტი თარგმანი. მისთვის ცნობილია, რომ პასუხსაგებს თარგმანის სისწორეზე და ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით.
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური (წინამდებარე დოკუმენტის 3 ვგზემპლარზე შესრულებული 126 ხელმოწერის დამოწმებისათვის) 252 ლარი, (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს დადგენილების #507-ის 31-ე მუხლისა), დარეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს დადგენილების #507-ის 39-ე მუხლისა): _ სულ გადახდილია 254 ლარი და 00 თეთრი.

ნოტარიუსი

ლანა მაჭავარიანი



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადმოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ან/უკუ შეგიძლიათ დარეგისტრირებული ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



საგარეო ურთიერთობების
მინისტროს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს

